

სექცია IV. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიულ- ფილოსოფიური ასპექტები

SECTION 3. LEGAL, POLITICAL, HISTORICAL AND PHILOSOPHICAL ASPECTS OF THE NATIONAL ECONOMY DEVELOPMENT

ჩინეთის სახალხო რესაუნდიკის პონარების საეცილური
აღმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციის პოლიტიკურ-
ეკონომიკური ასპექტები

ჯემალ გახოკიძე — პოლიტიკისა და სამართლის
მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი

სოფო მიდელაშვილი — სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ჰონგ-კონგის ფენომენი ჩვენთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა, რადგან 1997 წლის პირველ ივლისს მისი დედასახელმწიფოში დაბრუნება მართლაც უნიკალური მოვლენა და უკვე არსებული რეალობაა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონფლიქტის ჰონგ-კონგის მსგავსად გადაწყვეტის როგორც ისტორიული, ისე პორტიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების ანალიზი.

ნაშრომში გთავაზობთ ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციის მნიშვნელოვან მხარეებს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით.

Political-economic aspects of the basic law of the hong kong special administrative region of the people's republic of china

Summary

Hong Kong is a very interesting phenomenon for us because its return to the Mother Country on the first day of July 1997 was truly a unique event and the current reality. Therefore we consider it's important to analyze historical as well as political-legal and economic aspects of the solution of the conflict.

In the article, we consider significant political and economic aspects of The Basic Law of Special Administrative Region of Hong Kong.

ჰონგ-კონგი უძველესი დროიდან ჩინეთის ტე-რიტორიის ნაწილი იყო. ოპიუმის ომის (1840 წელი) შემდგომ ჰონგ-კონგი ოკუპირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის მიერ. 1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ ხელმოწერილ იქნა ერთობლივი დეკლარაცია ჰონგ-კონგის შესახებ და დადასტურდა, რომ 1997 წლის 1 ივლისიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება აღადგენდა სუვერენიტეტს ჰონგ-კონგზე. ამგვარად, ჩინელი ხალხის დიდი ხნის მისწრაფება განდგომილი რეგიონის დაბრუნების თაობაზე რეალობად იქცა. ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ჰონგ-კონგის-თვის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების პირობით, ასევე, მისი ისტორიისა და რეალობის გათვალისწინებით მიღებულ იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსების შესახებ, თანახმად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 31 მუხლისა, პრინციპით „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“. ფრიად საყურადღებოა, რომ 1984 წლიდან 1997 წლის 1 ივლისამდე, თითქმის 13 წლის განმავლობაში, შუამავლის ფუნქციით მოქმედებდა ერთობლივ მოკავშირეთა ჯგუფი, რომელმაც დაკისრებულ მისიას ბრწყინვალედ გაართვა თავი, რაზეც დამდგარი შედეგი მეტყველებს.

ამასთან, არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის განსაკუთრებული პოზიტური როლი, როგორც ფაქტობრივად შუამავლისა, აღნიშნული პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირდით.

ჩინურ-ბრიტანული დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ დღის წესრიგში დადგა პონკონგის კონსტიტუციის შემუშავების საკითხი. ონსტიტუციის პროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ როგორც პონკონგის, ისე ჩინეთის კომპეტენტური წარმომადგენლები.

1985 წელს პონკონგში თავის მხრივ შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელსაც უნდა შეესწავლა კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით პონკონგის მოსახლეობის მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები და მიენოდებინა კონსტიტუციის მოსამზადებელი კომიტეტისთვის. ამ წესით მუშაობა გაგრძელდა თთქმის სამი წელი.

კონსტიტუციის პირველი პროექტი გამოქვეყნდა 1988 წლის აპრილში, ხუთოთვიანი საჯარო კონსულტაციების შემდეგ. მისი ჩასწორებული ვარიანტი უკვე მეორე პროექტის სახით, გამოქვეყნდა 1989 წლის თებერვალში, თუმცა კონსულტაციები კვლავ გრძელდებოდა 1989 წლის ოქტომბრამდე. საბოლოოდ, პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის ძირითადი კანონი 1990 წლის 4 აპრილს დაამტკიცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულმა სახალხო კონგრესმა. კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1997 წლის პირველი ივლისს.

კონსტიტუცია შედგება პრეამბულისგან, 9 თავისაგან და სამი დანართისგან.

პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „პონკონგი იყო ჩინეთის ტერიტორიის ნაწილი უძველესი დროიდან. იგი ოკუპირებულ იქნა დიდი ბრიტანეთი მიერ 1840 წელს ოპიუმის ომის შემდეგ. 1984 წლის 19 დეკემბერს ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას პონკონგის თაობაზე და დაადასტურს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აღადგენს პონკონგზე იურისდიქციას 1997 წლის პირველი ივლისიდან. ამგვარად, დაკმაყოფილებულ იქნა ჩინელი ხალხის დიდი ხნის მისწრაფება პონკონგის დაბრუნების შესახებ.

ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და პონკონგისთვის კეთილდღეობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, მისი ისტორიისა და რეალობის გათვალისწინებით, ჩინეთის სახალხო რესპუ-

ბლიკამ გადაწყვიტა, აღადგინოს პონკონგზე სუვერენიტეტი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის 31-ე მუხლის საფუძველზე დაარსდეს პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი პრინციპით – „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა“. პონკონგში სოციალისტური სისტემა და პოლიტიკა არ დამკვიდრდება. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი პოლიტიკა პონკონგთან მიმართებაში ჩინეთის ხელისუფლებამ ასახა ჩინურ-ბრიტანულ ერთობლივ დეკლარაციაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, ეროვნული სახალხო კონგრესი ამტკიცებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის კონსტიტუციას, აყალიბებს სისტემებს აღნიშნულ რეგიონში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითადი პოლიტიკის განხორციელება პონკონგთან მიმართებაში”.

როგორც ვხედავთ, პრამბულაში უცვლელად დაფიქსირდა ჩინეთის ხელისუფლების მიერ ერთობლივ დეკლარაციაში ასახული ყველა გარანტია, რასაც უნდა დაფუძნებოდა ჩინეთ-პონკონგის ურთიერთობები 1997 წლის პირველი ივლისიდან. კონსტიტუციის პირველი მუხლის საფუძველზე „პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი“. მე-2 მუხლით კი – „ეროვნული სახალხო კონგრესი უფლებამოსილებას ანიჭებს პონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს, ისარგებლოს მაღალი ხარისხის ავტონომიით, ჰყავდეს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, მათ შორის, კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება“.

კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად პონკონგის ხელისუფლების სამივე შტოს, ჩინური ენის გარდა, შეუძლია ოფიციალურ ენად გამოიყენოს ინგლისურიც. ამით ჩინეთმა უდავოდ პატივი სცა და გაითვალისწინა ბრიტანეთის სამომავლო ინტერესები პონკონგთან მიმართებაში 1997 წლის შემდეგაც.

ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონს შორის ურთიერთობა კონსტიტუციის მე-12 და მე-13 მუხლებით დარეგულირდა, კერძოდ: პონკონგის რეგიონი ისარგებლებს მაღალი ხარისხის ავტონომიით და პირდაპირ დაექვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას. ამასთან „ცენტრალური სახალხო მთავრობა პონკონგის

სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ანიჭებს უფლებამოსილებას, საკუთარი საშინაო პოლიტიკა წარმართოს წინამდებარე კონსტიტუციის შესაბამისად”. ეს ადასტურებს, რომ ჩინეთის ხელისუფლება თანახმაა, ჰონკონგმა თავისი საშინაო პოლიტიკა წარმართოს თავისივე კონსტიტუციით.

საყურადღებოა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება ჰონკონგში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მე-18 მუხლის მიხედვით „იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სახალხო კონგრესის მუდმივმოქმედი კომიტეტი გადაწყვეტს, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში არეულობის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ერთიანობასა და უსაფრთხოებას და სიტუაცია რეგიონის კონტროლს არ დაექვემდებარება, ცენტრალურ სახალხო მთავრობას შეუძლია გამოსცემ განკარგულება, რათა რეგიონში ამოქმედდეს შესაბამისი სახელმწიფო კანონმდებლობა”. კონსტიტუციის მე-3 თავი მთლიანად დათმობილი აქვს ჰონკონგის მოქალაქეთა ფუნდამენტურ უფლებებს და მოვალეობებს. 24-ე მუხლის მიხედვით „ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მოსახლეობა (“ჰონკონგის მაცხოვრებლები”) შედგება მუდმივი და არამუდმივი მაცხოვრებლებისაგან.

ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მუდმივი მაცხოვრებელია:

1. ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსებამდე ან დაარსების შემდეგ ჰონკონგში დაბადებული ჩინეთის მოქალაქე;
2. ჩინეთის მოქალაქე, რომელიც ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსებამდე ან დაარსების შემდეგ ჰონკონგში უწყვეტად ცხოვრობდა არა-ნაკლებ შვიდი წლის განმავლობაში;
3. (1) და (2) კატეგორიებში ჩამოთვლილ პირთა შვილები;
4. არაჩინელი ეროვნების პირი, რომელიც ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსებამდე ან დაარსების შემდეგ ჰონკონგში შევიდა მოქმედი სამგზავრო დოკუმენტით, ჰონკონგში ჩვეულებრივ ცხოვრობდა უწყვეტად არანაკლებ შვიდი წლის განმავლობაში და ჰონკონგს მიიჩნევს მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად;

5. ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსებამდე ან დაარსების შემდეგ ჰონკონგში დაბადებული 21 წლის ასაკამდე პირი, რომელიც შეყვანილია მოსახლეობის მე-4 კატეგორიაში;

6. პირველ-მეტუთე კატეგორიებში შეყვანილი პირი, ვისაც ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დაარსებამდე მხოლოდ ჰონკონგში ცხოვრების უფლება ჰქონდა.

ზემოხსენებულ პირებს აქვთ ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში ცხოვრებისა და რეგიონის კანონმდებლობის შესაბამისად მუდმივი პირადობის მოწმობის მიღების უფლება, რაც ადასტურებს მათი ცხოვრების უფლებას.

ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის დროებითი მცხოვრები იქნება პირი, რომელიც ცდილობს რეგიონის კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვოს ჰონკონგის პირადობის მოწმობა, მაგრამ არ აქვს მუდმივად ცხოვრების უფლება”.

ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს და პატივისცემას აფიქსირებს ჰონკონგში არსებულ ტრადიციებისა და ძირძველი მოსახლეობის ინტერესების მიმართ. მე-40 მუხლში ვკითხულობთ, რომ “ჰონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში დაცული იქნება კანონიერი ტრადიციული უფლებები და “ახალი ტერიტორიების” ძირძველი მოსახლეობის ინტერესები”.

კონსტიტუციის მე-4 თავი ეხება რეგიონის პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც 6 ნაწილისაგან შედგება. პირველი და მეორე ნაწილი განსაზღვრავს მთავარი აღმასრულებლისა და აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევის, ფორმირების წესს და კომპეტენციას. კონსტიტუციით მთავარი აღმასრულებელი რეგიონის ხელმძღვანელი (მთავრობის მეთაური) და ნარმომადგენელია. იგი ანგარიშვალდებულია ცენტრალური სახალხო მთავრობის წინაშე (მისი დანიშვნის, არჩევის წესის შესახებ ქვემოთ, შემდეგ თავში გვევნება მსჯელობა). ხაზგასმულია, რომ მთავარი აღმასრულებელი უნდა იყოს პატიოსანი და საქმისათვის თავდადებული. მისი ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია კონსტიტუციის 48-ე მუხლით, რომლის მიხედვით, ის:

- (1) ხელმძღვანელობს რეგიონის მთავრობას;
- (2) პასუხისმგებელია კონსტიტუციისა და სხვა კანონების დაცვაზე, რომელსაც ითვალისწინებს წინამდებარე კონსტი-

- (3) ტუცია და მოქმედებს ჰონკონგის სპე-
ციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში;
- (4) ხელს აწერს საკანონმდებლო საბჭოს
მიერ მიღებულ კანონპროექტებს და აქ-
ვეყნებს კანონებს; ხელს აწერს საკა-
ნონმდებლო საბჭოს მიერ მიღებულ ბი-
უჯეტს, ბიუჯეტის ანგარიშსა და საბო-
ლოო ანგარიშებს ცენტრალური სახალხო
მთავრობის ოქმისთვის;
- (5) წყვეტს სამთავრობო პოლიტიკას და გა-
მოსცემს ადმინისტრაციულ ბრძანებებს;
- (6) ცენტრალურ სახალხო მთავრობას დასა-
ნიშნად წარუდგენს: დეპარტამენტების
მდივნებასა და მდივნის მოადგილებს,
ბიუროს დირექტორებს, კომისარს კო-
რუფციასთან ბრძოლის საკითხებში,
აუდიტის კომისიის დირექტორს, პოლი-
ციის კომისარს, იმიგრაციის დირექტორ-
სა და საბაჟო და საქციზო კომისარს.
წინადადებებით შედის ცენტრალური
სახალხო მთავრობის წინაშე აღნიშნული
თანამდებობის პირების გათავისუფლე-
ბის თაობაზე;
- (7) სამართლებრივი პროცედურების შესაბა-
მისად წინავს და ათავისუფლებს მოსა-
მართლებს ყველა დონეზე;
- (8) სამართლებრივი პროცედურების შესაბა-
მისად წინავს და ათავისუფლებს საჯა-
რო მოხელეებს;
- (9) ახორციელებს ცენტრალური სახალხო
მთავრობის მითითებებს ამ კონსტიტუ-
ციით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- (10) ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაცი-
ული რეგიონის მთავრობის სახელით
წარმართავს საგარეო და სხვა საქმეებს
ცენტრალური ხელისუფლების მიერ მი-
ნიჭებული უფლებამოსილების ფარგ-
ლებში;
- (11) საჯარო ინტერესების გათვალისწინებით
წყვეტს უსაფრთხოებისა და სასიცოცხ-
ლო მნიშვნელობის საკითხებს, რომელმა
სახელისუფლებო თანამდებობის პირმა
ან სხვა პერსონალმა უნდა წარუდგინოს
ინფორმაცია საკანონმდებლო საბჭოს ან
მის კომიტეტებს;
- (12) შეიწყალებს სისხლის სამართლის დანა-
შაულში მსჯავრდებულ პირებს ან უმსუ-
ბუქებს მათ სასჯელს.
- (13) იხილავს შუამდგომლობებსა და საჩივ-
რებს.
- გარდა ამისა, კონსტიტუციის 50-ე მუხლის
თანახმად „თუ მთავარი აღმასრულებელი სა-
კანონმდებლო საბჭოს მიერ მეორედ წარმოდ-
გენილ კანონპროექტს არ მოაწერს ხელს ან
საკანონმდებლო საბჭო არ მიიღებს მთავრო-
ბის მიერ წარდგენილ ბიუჯეტს ან სხვა მნიშვ-
ნელოვან კანონპროექტს და ვერც კონსულ-
ტაციების შედეგად მოხდება შეთანხმება, მაშინ
მთავარ აღმასრულებელს უფლება აქვს, დაი-
თხოვოს საკანონმდებლო საბჭო.
- მთავარმა აღმასრულებელმა საკანონმდებ-
ლო საბჭოს დათხოვნამდე კონსულტაცია უნდა
გაიაროს აღმასრულებელ საბჭოსთან. მთავარ
აღმასრულებელს შეუძლია დაითხოვოს საკა-
ნონმდებლო საბჭო მხოლოდ ერთხელ უფლე-
ბამოსილების ერთ ვადაში”.
- ამრიგად, გადაჭარბებული არ იქნება თუ
ვიტყვით, რომ მთავარი აღმასრულებლის
უფლებები თითქმის გათანაბრებულია ქვეყნის
პრეზიდენტის — მეთაურის საკონსტიტუციო
სამართლით აღიარებულ უფლებებთან. წიშან-
დობლივია, რომ მთავრობის სტუქტურაში იქმ-
ნება კორუფციასთან ბრძოლის კომისია, რო-
მელიც ანგარიშვალდებულია მთავარი აღმას-
რულებლის წინაშე. რაც შეეხება სისხლის სა-
მართლის დევნას, მას პროკურატურა უზრუნ-
ველყოფს, ხოლო კონტროლს ახორციელებს
იუსტიციის დეპარტამენტი. კონსტიტუციის მე-
4 თავის მე-3 წანილი ეთმობა საკანონმდებლო
ხელისუფლებას. საკანონმდებლო ხელისუფლე-
ბა ჰონკონგში წარმოდგენილია საკანონმ-
დებლო საბჭოს სახით. კონსტიტუციის 67-ე და
68-ე მუხლების თანახმად: „ჰონკონგის სპე-
ციალური ადმინისტრაციული რეგიონის საკა-
ნონმდებლო საბჭოს წევრები ჩინეთის მოქა-
ლაქეებია, რომლებიც არიან რეგიონის მუდმივი
რეზიდენტები და არა აქვთ უცხო ქვეყანაში
ცხოვრების უფლება. ამასთან, რეგიონში მუდ-
მივად მცხოვრები, რომლებიც არ არიან ჩინე-
თის მოქალაქეები ან აქვთ უცხო ქვეყანაში
ცხოვრების უფლება, შესაძლებელია არჩეულ
იქნენ საკანონმდებლო საბჭოში იმ პირობით,
რომ მათი რაოდენობა არ გადააჭარბებს საბ-
ჭოს მთელი შემადგენლობის 20 %-ს.
- ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციუ-
ლი რეგიონის საკანონმდებლო საბჭო ყალიბ-
დება არჩევნების გზით.
- საკანონმდებლო საბჭოს ფორმირების წესი
განისაზღვრება ჰონკონგის სპეციალურ ადმი-
ნისტრაციულ რეგიონში არსებული ფაქტობ-

რივი ვითარებისა და ეტაპობრივი და თანმიმდევრული პროგრესის პრინციპის შესაბამისად. საბოლოო მიზანია საკანონმდებლო საბჭოს ყველა წევრის საყოველთაო კენჭისურით არჩევა". მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო საბჭოს ყველა წევრის არჩევა საყოველთაო კენჭისყრით დღემდე არ არის უზრუნველყოფილი და აქედან გამომდინარე, ჰონკონგელების და ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირება ხშირად სწორედ ამითაა გამოწვეული და მას ჩვენ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევის პირველი ვადა განისაზღვრა 2 წლით, ხოლო შემდგომი ვადები — 4 წლით. მის უფლებამოსილებას განსაზღვრავს 73-ე მუხლი, კერძოდ, საკანონმდებლო ხელისუფლება:

1. იურიდიული პროცედურების შესაბამისად იღებს ან აუქმებს კანონებს, შეაქვს შესწორებები მათში;
2. განიხილავს და ამტკიცებს მთავრობის მიერ წარდგენილ ბიუჯეტს;
3. ამტკიცებს საგადასახადო და საზოგადოებრივ ხარჯებს;
4. მთავარი აღმასრულებისგან იღებს და განიხილავს ინფორმაციას;
5. განიხილავს მთავრობის მუშაობას;
6. განიხილავს ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ ინტერესებს;
7. წყვეტს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებისა და უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლის დანიშვნისა და მოხსნის საკითხს;
8. იღებს და განიხილავს ჰონკონგის მცხოვრებთა საჩივრებსა და განცხადებებს;
9. წყვეტს მთავარი აღმასრულებლის იმპირმენტის საკითხს;
10. ზემოაღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად იწვევს პირებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ინფორმაცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის მე-4 თავის მე-4 ნაწილი დამტობილი აქვს სასამართლო ხელისუფლებას.

მე-80 მუხლის თანახმად „ჰონკონგის სპეციალური აღმინისტრაციული რეგიონის სასამართლოები წარმოადგენენ სასამართლო ხელისუფლებას რეგიონში ყველა დონეზე და ახორციელებენ სასამართლო ძალაუფლებას".

ჰონკონგში ფუნქციონირებს პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაესი სასა-

მართლო, რითაც სასამართლო ხელისუფლებას მინიჭებული აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება და რეგულირდება შესაბამისი კანონით. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მართლმსაჯულება და სამართალწარმოება ეფუძნება ბრიტანულ კანონმდებლობას და, აქედან გამომდინარე, იყენებს პრეცედენტულ სამართალს. ჰონკონგში შენარჩუნებულ იქნა ჰონკონგის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ამით რეგიონი უდავოდ დაცულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დღემდე არსებული დასჯის უმკაცრესი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკასგან, მათ შორის სიკედილით დასჯის გამოყენებისაგან. მოსამართლეთა კორპუსის დანიშვნისა და განთავისუფლების პრეროგატივა მთლიანად ჰონკონგის მთავარი აღმასრულებლის და საკანონმდებლო საბჭოს ხელშია და რეგულირდება კონსტიტუციის 88-ე და 90-ე მუხლებით.

კონსტიტუციის 93-ე მუხლის შესაბამისად „ჰონკონგის სპეციალური აღმინისტრაციული რეგიონის დაარსებამდე ჰონკონგში მომუშავე მოსამართლება და სასამართლოთა სხვა თანამშრომლებს უნარჩუნდება სამუშაო ადგილები, ანაზღაურება, შეღავათები, სარგებელი და ექმნება მუშაობის არანაკლებ ხელსაყრელი პირობები.

ჰონკონგის სპეციალური აღმინისტრაციული რეგიონის მთავრობა აფინანსებს მოსამართლება და სასამართლოთა სხვა თანამშრომლებს, რომლებიც როგორც ჰონკონგის სპეციალური აღმინისტრაციული რეგიონის შექმნის შემდეგ, ისე მანამდე, გადადგნენ ან მიდიან სამსახურიდან განსაზღვრული წესების შესაბამისად, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა ან საცხოვრებელი ადგილისა".

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური გარანტიები მიუთითებს იმაზე, რომ ჰონკონგში 1997 წლის პირველი ივლისის შემდეგ ფაქტობრივად შენარჩუნდა სასამართლო ხელისუფლების არა მარტო არსებული სისტემა, არამედ მოსამართლეთა კორპუსის სტაბილურობა.

კონსტიტუციის მე-4 თავის მე-6 ნაწილი ეთმობა საჯარო მოხელეებს. 101-ე მუხლი ადგენს: „ჰონკონგის სპეციალური აღმინისტრაციული რეგიონის მთავრობას შეუძლია საჯარო სამსახურში დაასაქმოს ბრიტანელი და სხვა ეროვნების მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი პირადობის მოწმობა. მხოლოდ ჩინეთის მოქალაქეებს, მუდმივ რეზიდენტებს, რომლებსაც არა აქვთ უცხო ქვეყანაში ცხოვრების უფლება, შეუძლიათ დაიკავონ შემდეგი თანამდებობები:

დეპარტამენტის მდივანი და მდივნის მოადგილე, ბიუროს დირექტორი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის წევრი, აუდიტის კომისიის დირექტორი, პოლიციის რწმუნებული, იმიგრაციის სამსახურის დირექტორი და საბაჟოსა და აქციზის რწმუნებული.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობას შეუძლია სამთავრობო დეპარტამენტში მრჩეველად დაასაქმოს ბრიტანელი და სხვა ქვეყნის მოქალაქე. შაჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოწვეულ იქნებ კვალიფიციური კანდიდატები ასევე რეგიონის გარედან, რათა სამთავრობო დეპარტამენტებში შეივსოს პროფესიული და ტექნიკური თანამდებობები. უცხო ქვეყნის მოქალაქები შეირჩევიან მხოლოდ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ისინი ვასუბისმგებელი არიან რეგიონის მთავრობის წინაშე”.

ჩვენი აზრით საყურადღებოა კონსტიტუციის 104-ე მუხლი პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონისადმი ერთგულების თაობაზე, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად „პონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში თანამდებობის დაკავებისას მთავარი აღმასრულებელი, ოფიციალური პირები, აღმასრულებელი საბჭოსა და საკანონმდებლო საბჭოს წევრები, ყველა დონის სასამართლოს მოსამართლეები და სასამართლოს სხვა თანამშრომლები ფიცს დებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის ძირითადი კანონის დაცვასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონისადმი ერთგულებაზე”.

კონსტიტუციის მე-5 თავი მოიცავს ეკონომიკას, მათ შორის ფინანსებს, მონეტარულ საქმეებს, ვაჭრობას, მრეწველობას, მიწის იჯარას, გადაზიდვებს, სამოქალაქო ავიაციას.

კონსტიტუციის 106-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ პონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს აქვს დამოუკიდებელი ფინანსები.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი თავის ფინანსურ შემოსავლებს იყენებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის და არ გადასცემს მას ცენტრალურ სახალხო მთავრობას.

ცენტრალური სახალხო მთავრობა პონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს არ სთხოვს გადასახადების გადახდას”.

გარდა ამისა, კონსტიტუციის 109-ე და 113-ე მუხლებით დადგინდა შემდეგი: „პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობა უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შექმნას, რათა შენარჩუნდეს პონკონგის, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის სტატუსი.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მონეტარული და ფინანსური სისტემები იქნება განსაზღვრული კანონის შესაბამისად.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობა თვითონ განსაზღვრავს მონეტარულ და ფინანსურ პოლიტიკას, იცავს ბიზნესის თავისუფალ საქმიანობას და ფინანსურ ბაზარს, კანონის შესაბამისად არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს მათ.

პონკონგის დოლარი კვლავაც რჩება მიმქცევაში.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება სავალუტო საკითხთან დაკავშირებით, რასაც მთლიანად უჭერს მხარს სარეზერვო ფონდი.

პონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში არ ხორციელდება უცხოური ვალუტის კონტროლის პოლიტიკა. პონკონგის დოლარი არის თავისუფლად კონვერტირებადი.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობა იცავს კაპიტალის მოძრაობის თავისუფლებას რეგიონის შინგნით და გარეთ.

პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სავალუტო ფონდს აკონტროლებს რეგიონის მთავრობა უმთავრესად პონკონგის დოლარის სავალუტო ლირებულების რეგულაციის მიზნით”.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კონსტიტუციით პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სრულ გამგებლობაშია რეგიონის ეკონომიკა და ფინანსები. გადაზიდვების სფეროც, მათ შორის სამოქალაქო ავიაციაც, რეგიონის გამგებლობაშია. კონსტიტუციის 124-ე და 125-ე მუხლის თანახმად პონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი ინარჩუნებს გადაზიდვების მენეჯმენტის აღრინდელ სისტემებს და გადაზიდვათა რეგულაციებს.

პონკონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ცენტრალური სახალხო მთავრობა ანიჭებს უფლებამოსილებას, გააგრძელოს გადაზიდვების რეგისტრაცია და თავისი კანონმ-

დებლობის შესაბამისად გასცეს სერტიფიკატები სახელწოდებით — „ჰოსტელი, ჩინეთი”.

128-ე მუხლი გარანტიას იძლევა, რომ „ჰოსტელის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობა შექმნის პირობებს და მიღებს ზომებს, რათა ჰოსტელის შეუნარჩუნდეს საერთაშორისო და რეგიონული საავიაციო ცენტრის სტატუსი”.

135-ე მუხლის მიხედვით „იმ ავიაკომპანიებს, რომელთა ძირითადი საქმიანობა უკავშირდება სამოქალაქო ავიაციას ჰოსტელის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში და რომლებიც დაარსებულია ჰოსტელის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის შექმნამდე, მიეცემათ მუშაობის გაგრძელების უფლება”.

კონსტიტუციის მე-7 თავი ადგენს გარკვეულ წესებს საგარეო საქმეების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს სფერო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამგებლობაშია. კერძოდ 150-ე და 151-ე მუხლებით: „ჰოსტელის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის მთავრობის ნარმომადგენლები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრის რანგში მონაწილეობენ ცენტრალური სახალხო მთავრობის მიერ ნარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, რომელიც განიხილავს საკითხს უშუალოდ რეგიონის შესახებ.

ჰოსტელის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, რაკი იყენებს სახელწოდებას „ჰოსტელი, ჩინეთი”, ინარჩუნებს და ავითარებს ურთიერთობებს, დებს და ახორციელებს შეთანხმებებს უცხო ქვეყნებთან, რეგიონებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის ეკონომიკურ, სავაჭრო, ფინანსურ და მონეტარულ, გადაზიდვის, კომუნიკაციების, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროებში”.

კონსტიტუციის 157-ე მუხლის თანახმად „ქვეყნის გარეთ საკონსულოებისა და სხვა რეგიონის გარეთ საკონსულოებისა და სახალხო რეგიონის ან ნახევრად თვითმმართველობის მი-

სიების დასაარსებლად ჰოსტელის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ესაჭიროება ცენტრალური სახალხო მთავრობის ნებართვა.

ჰოსტელის იმ სახელმწიფოთა საკონსულოები და სხვა ოფიციალური მისიები, რომელთაც აქვთ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, შენარჩუნებულია.

ამ გარემოებების გათვალისწინებით ჰოსტელის იმ სახელმწიფოთა საკონსულოები და სხვა ოფიციალური მისიები, რომელთაც არა აქვთ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ნახევრად ოფიციალური მისიებია.

სახელმწიფოთა მისიებს, რომელთაც არ აღიარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აქვს მხოლოდ არასამთავრობო ინსტიტუტის სტატუსი”.

ჰოსტელის კონსტიტუციის შესახებ უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციაში 1984 წლის ერთობლივი დეკლარაციით აღიარებული პრინციპები სრულედაა ასახული და გაზიარებული. მეორე — ის, რომ კონსტიტუცია მის ამოქმედებამდე 7 წლით ადრე მიღო და დაამტკიცა ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გარდა დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ერთობლივი დეკლარაციისა, მიზანშეწონილად ჩაითვალა ჰოსტელი-ჩინეთის მომავალი ურთიერთობებისათვის რამდენიმე წლით ადრე შექმნათ სამივე მხარისათვის მისაღები კონსტიტუციური გარანტიები, კონსტიტუცია — ძირითადი კანონი, რომელსაც დაეცემენებოდა არა მარტო ჰოსტელის ხელისუფლების სამივე შტოს — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა, არამედ მაქსიმალურ სიცხადეს შეიტანდა კომპეტენციათა და უფლებამოსილებათა გადანაწილებისა და გამიჯვნის საქმეში ცენტრსა და რეგიონს შორის.